FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ვიტსე დე გეთერის ისტორია

ვიტსე დე გეთერი (WIESTE DE GEYTER), ბელგიის მოქალაქე, სოციალური მედიის ექსპერტია, რომელიც 2021 წლიდან დღემდე, საქართველოში ცხოვრობდა ბინადრობის ნებართვის საფუძველზე. მას ბრალად ედება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და წვრილმანი ხულიგნობა.
ვიტსე დე გეთერი 7 დეკემბერს, პროევროპული საპროტესტო აქციის დარბევის დროს დააკავეს. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ის აქციაზე საერთოდ არ იმყოფებოდა, მეგობრებთან ერთად რესპუბლიკის მოედნის მიმდებარედ იმ მომენტში მივიდა, როდესაც შსს-ს წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს დასდევდნენ და თვითნებურად აკავებდნენ. დაკავებამდე ვიტსე დე გეთერი გადმოდიოდა სამარშრუტო ტაქსიდან და დაინახა, თუ როგორ არბევდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები აქციას, იგი გადავიდა ტროტუარზე და რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, მაკდონალდსის მიმართულებით დაიწყო გადაადგილება. სწორედ იმ მომენტში, მას დაახლოებით 5-6 სპეცრაზმელი მივარდა და დაიწყეს მისი ძალის გამოყენებით დაკავება. სპეცრაზმელებს არ ჰქონიათ მისი დაკავების საფუძველი და თვითნებურად, ფიზიკური ძალის გამოყენებით მოათავსეს პოლიციის ე.წ. „დაკავების მანქანაში“ - მინივენში.

პოლიციელებმა დაკავებისას დაზარალებულის მიმართ არაპროპორციული ძალა გამოიყენეს. „დაკავების ავტომობილში“ მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, კერძოდ ურტყამდნენ სხეულის არეში, რათა დაზიანებები სახეზე არ ჰქონოდა. შედეგად, დაკავებულს სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდა, ტანსაცმელი კი დასისხლიანებული ჰქონდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელიც გაესაუბრა იზოლატორში ყოფნისას. მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა დაადგინეს, რომ ვიტსე დე გეთერი იყო ბელგიის სამეფოს მოქალაქე, ფიზიკური ძალადობა შეწყვიტეს.

დაკავების შემდეგ ბელგიის მოქალაქე ავჭალის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც 48 საათის განმავლობაში იმყოფებოდა. 9 დეკემბერს, როდესაც ვიტსე დე გეთერი იზოლატორს ტოვებდა, ადგილზე შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დახვდნენ და დაიბარეს გამოკითხვაზე მიგრაციის დეპარტამენტში.

ბელგიის მოქალაქის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების საფუძველზე. მისი სასამართლო გაიმართა 2024 წლის 12 დეკემბერს, საქმე განიხილა მოსამართლე კობა ჩაგუნავამ.

სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით გამოიკითხა ორი პოლიციელი, რომლებიც განმარტავდნენ, რომ მათ დააკავეს ვიტსე დე გეთერი. რეალურად არცერთი მათგანი არ იყო დამკავებელი პოლიციელი. შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მათ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მისცეს. მოწმე პოლიციელები აღნიშნავდნენ, რომ ვიტსე დე გეთერი ქართულად იგინებოდა და ილანძღებოდა, მაშინ როდესაც დაზარალებულმა საერთოდ არ იცის ქართული ენა. საქმეზე წარმოდგენილი არ იყო არცერთი ობიექტური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას.
დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა ვიტსე დე გეთერის დაკავების კადრები, რაც გამორიცხავდა და აქარწყლებდა მოწმე პოლიციელების მიერ მიცემულ ჩვენებას. აღნიშნული კადრები ასევე ადგენდა ობიექტურ ჭეშმარიტებას, რომ რეალურად ვიტსე დე გეთერს არანაირი სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.
მოსამართლე კობა ჩაგუნავამ ვიტსე დე გეთერის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ნაწილობრივ შეწყვიტა, კერძოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის ნაწილში, ხოლო 173-ე მუხლის ნაწილში იგი ცნო სამართალდამრღვევად. სასჯელის სახით მას განესაზღვრა სიტყვიერი შენიშვნა.
ამ დროისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილება ვიტსე დე გეთერის საქმეზე არ არის დაწერილი და მოსამართლე კობა ჩაგუნავას მიერ ხელმოწერილი. დაცვის მხარემ უკვე წარადგინა სასამართლოში მოთხოვნა საქმის მასალებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე.

არსებული ინფორმაციით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მომხდარზე გამოძიება არ დაუწყია. მიუხედავად იმისა, რომ ინახულა ვიტსე დე გეთერი დროებითი მოთავსების იზოლატორში და ჰქონდა ინფორმაცია მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე.
უფრო მეტიც, სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირება დაკავებულის მიმართ გამოიხატა ისეთ სადამსჯელო და რეპრესიულ მექანიზმში, როგორიცაა საქართველოში შემოსვლაზე უარი.
დაზარალებული 2024 წლის 22 დეკემბერს ბელგიაში, საშობაო არდადეგებზე გაემგზავრა. როდესაც იგი უკან ბრუნდებოდა, 2024 წლის 30 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ის არ შემოუშვეს საქართველოს ტერიტორიაზე და გააბრუნეს ბელგიაში. საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლად მას განესაზღვრა „კანონმდებლობით გათვალისწინებული და სხვა საფუძველი“ . ვიტსე დე გეთერს არ განუმარტეს, რეალურად რის გამო ეთქვა მას საქართველოში შემოსვლაზე უარი. თუმცა, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ვიტსე დე გეთერი საქართველოში არ შემოუშვეს არსებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა და მისი საპროტესტო აქციის მიმდებარედ გადაადგილების გამო.
ვიტსე დე გეთერი საქართველოში ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ცოლთან ერთად ცხოვრობს. მისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმა ქმნის კითხვის ნიშნებს მიმდინარე სამართლებრივი პროცესებისა და შესაბამისი საფუძვლების კანონიერების თაობაზე.
საქართველოში შემოშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება 2024 წლის 31 დეკემბერს გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.